ი ვ . ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N 3
18. 02. 2015

საბჭოს სხდომ დღის წესრიგი:

1. სასწავლო აკადემიურ პროგრამებში (საბაკალავრო, სამაგისტრო) და სალექციო კურსების სილაბუსებში ცვლილებების დამტკიცება.

სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში.

მონაწილეობდნენ:

თავმჯდომარე: დეკანის მოვალეობის შემსრულებელი პროფესორი თამარ გაგოშიძე

მდივანი: დეკანის მოადგილის მ/შ, ასოც./პროფ. ლ. სურმანიძე.

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტიდან: პროფ.-ები: მ. წერეთელი, ასოც./პროფ.-ები: ი. კუტალაძე, მ. მელიქიშვილი, ბ. არუთინოვა, ა. ქიტიაშვილი, მ. მესტვირიშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ასისტ./პროფ.-ები: შ. მამუკაძე, ლ. ჩხიკვივილი, ი. აფთარაშვილი, ლ. ხეჩუაშვილი.

განათლების დეპარტამენტიდან: პროფ. ქ. ჭკუასელი, ასოც./პროფ. ი. პეტრიაშვილი, ასისტ./ პროფ. ზ. ქიტიაშვილი.

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები: ბ. დადეშქელიანი, ნ. ალიბეგაშვილი, თ. კანდელაკი, გ. სალია.

სხდომაში მონაწილეობდა ფაკულტეტის საბჭოს 19 წევრი.

განიხილეს:

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც/პროფ.-მა მ.მელიქიშვილმა წარმოადგინა ის პროგრამები და სილაბუსები, რომელშიც შედის ცვლილება.

ფსიქოლოგიის დეპარტამენტში

საბაკალავრო პროგრამები

1. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მე–3 დონის საგნად დაემატა არჩევითი კურსი – „ვიზუალური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ (მ. მესტვირიშვილი).
2. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი „ჯგუფთან მუშაობის მეთოდები“ (გ. ყიფიანი).
3. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანში „კვლევითი ნაშრომი“ შევიდა ცვლილებები (ნ. ჯავახიშვილი).

სამაგისტრო პროგრამები

1. სამაგისტრო პროგრამაში „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია (ხელმძღვანელი: შ. აბზიანიძე) სალექციო კურსს „დევიაციური ქცევის ფსიქოლოგია“ აქვს ახალი სახელწოდება – „ნორმატიული და დევიაციური აქტივობის ფსიქოლოგია“ (ვ. ნადარეიშვილი).
2. სამაგისტრო პროგრამას „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“ (ხელმძღვანელი: მ. წერეთელი. მ. მელიქიშვილი) ემატება 2 ახალი საგანი: „ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდები ბავშვებისა და მოზარდებისთვის“ (ი. გედევანიშვილი) და „პრაქტიკა – განათლების სპეციალისტის საქმიანობა პროფესიული განათლების სისტემაში“ (მ. წერეთელი; ლ. ხოჯანაშვილი).
3. სამაგისტრო პროგრამას „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ (ხელმძღვანელი ი. კუტალაძე) ემატება ახალი არჩევითი კურსი – „ახალი სამუშაო ძალა – ტენდენციები და გამოწვევები“ (ა. ტიკარაძე)
4. სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“ (ხელმძღვანელი: ა. ქიტიაშვილი) სავალდებულო საგანი – „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ მეორე სემესტრის ნაცვლად წაიკითხება მესამე სემესტრში.

განათლების დეპარტამენტში

საბაკალავრო პროგრამები

1. სასწავლო კურსი – „საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“ შეიცვალა კურსით „განათლების სამართლებრივი საფუძვლები“. გამოცხადდება გაზაფხულის სემესტრში.

2. სასწავლო კურსს – „საგნის მეცნიერული საფუძვლები (ინგლისური ენის კომუნიკაციური უნარების განვითარება)“ შეეცვალა სახელწოდება შემდეგი ფორმულირებით – „საგნის სწავლების მეცნიერული საფუძვლები“ (ინგლისური ენა).
3. პროგრამას ემატება ტემპუსის საგრანტო პროექტის ფარგლებში დამუშავებული 5 კრედიტიანი არჩევითი კურსი – „განათლება და ბავშვთა უფლებები“.

სამაგისტრო პროგრამები

<u>სამაგისტრო პროგრამა - მასწავლებელთა განათლება</u>

1. სასწავლო კურსი – „თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები“, ნაცვლად II სემესტრისა, გამოცხადდება III სემესტრში.
2. 10 კრედიტიანი პედაგოგიური პრაქტიკა გაიყოფა II და III სემესტრზე 5–5 კრედიტის ოდენობით;
3. სასწავლო კურსს – „ენის კომუნიკაციური უნარების სწავლება და განვითარება“ შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა – „ენის ძირითადი საკომუნიკაციო უნარების სწავლება და განვითარება.
4. სასწავლო კურსებს – „ქართულის სწავლების ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები 1“ და „ქართულის სწავლების ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები 2 „ შეეცვალა სახელწოდება შემდეგი ფორმულირებით – „ქართულის სწავლების მეთოდიკა 1“ და „ქართულის სწავლების მეთოდიკა 2“.
5. სასწავლო კურსს - „განათლების ფსიქოლოგია“ შეეცვალა სახელწოდება: „განვითრებისა და სწავლის თეორიები".

<u>სამაგისტრო პროგრამა - განათლების მეცნიერებები</u>

1. სასწავლო კურსი – „პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები“, რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი, გაიყოფა ორ სემესტრზე და გამოცხადდება II და III სემესტრში.
2. სასწავლო კურსი – „თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები“, ნაცვლად II სემესტრისა, გამოცხადდება III სემესტრში.

3. განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას დაემატება არჩევითი სასწავლო კურსები: „მშვიდობის კულტურა სასკოლო განათლებაში“ (5 კრედიტი) და „კურიკულუმის თეორიები“ (5 კრედიტი). ეს კურსები გამოცხადდება II და III სემესტრებში.

კენჭი უყარეს: სასწავლო აკადემიურ პროგრამებში (საბაკალავრო, სამაგისტრო) და სალექციო კურსების სილაბუსებში ცვლილებებს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

მიღებულ იქნას სასწავლო პროგრამებსა და საილაბუსებში წარმოდგენილი ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარე
დეკანის მ/შ,
პროფ. თამარ გაგოშიძე

სხდომის მდივანი
დეკანის მოადგილის მ/შ,
ასოც./პროფ. ლ. სურმანიძე.

18.02.2015